საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი**

**საქპატენტი**

ქ. მცხეთა "01" 08 2013 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1100/03

**სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღზე**

2013 წლის 23 ივლისის N 73169/03 განაცხადით ფიზიკურმა პირმა შორენა რაზმაძემ (მის: წერონისის ქ. №6 ქ. თბილისი, საქართველო) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „Bravery" (რეგ. N 23872) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „Bravery" (რეგ. N 23872) საქართველოში რეგისტრირებულია 01.08.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 01.08.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 12-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე თ:

1. სასაქონლო ნიშანზე „Bravery" (რეგ. N 23872) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 333, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 01.08.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შორენა რაზმაძეს (მის: წერონისის ქ. №6 ქ. თბილისი, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
02 08 2013 წ.
ადმინისტრატორი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: **Bravery**

რეგისტრაციის N: **23872**

მფლობელი: **შორენა რაზმაძე**

მისამართი: **წერონისის ქ.6, 0104, თბილისი, საქართველო**

კლას(ებ)ი: **12 - სატრანსპორტო საშუალებები; ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში გადასაადგილებელი აპარატები, მათ შორის, ველოსიპედები, საბავშო ეტლები.**